პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის N17 (რეგისტრაცია Nგ-47. 47261482) განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის N17 (რეგისტრაცია Nგ-47. 47261482) განკარგულებაში:

ა) განკარგულებით დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხა ჩამოყალიბდეს დანართ #1-ის შესაბამისად;

ბ) განკარგულებით დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმა ჩამოყალიბდეს დანართ #2–ის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი - ვალერი ყაჭეიშვილი